

15

სექტემბერი
September

18:30

Thomas Hampson / baritone
Elena Bashkirova / piano

Antonin Dvořák (1841-1904)

From the cycle “Biblische Lieder” (Biblical Songs), Op. 99

Oblak a mrákota jest vůkol Něho (Darkness and Thunderclouds Are Round About Him)

Skrýše má a Pavéza má ty jsi (Lord My Shield, My Refuge and Hope)

Hospodin je můj pastýř (Oh, My shepherd Is the Lord)

Při řekách babylonských (By the Shore of the River Babylon)

Pozdvihuji oči svých k horám (I Lift up My Eyes toward the Mountains)

Zpívetje Hospodinu píseň novou (O Sing unto the Lord a Joyful Song)

Franz Liszt

Songs on texts by Heinrich Heine

Morgens steh ich auf und frage (Every Morning I Awake and Ask)

Es muss ein Wunderbares sein (How Wondrous It Must Be)

Im Rhein im Heiligen Strome (In the Rhine, in the Beautiful River)

Du bist wie eine Blume (You Are like a Flower)

Anfangs wollt' ich fast verzagen (At first I almost Despaired)

Vergiftet sind meine lieder (My Songs Are Filled with Poison)

Four Ballads

Die Loreley (Loreley), text by Heinrich Heine

Ein Fichtenbaum steht einsam (A Fir Tree Stands Lonely), text by Heinrich Heine

Die Vätergruft (Father's Crypt), text by Ludwig Uhland

Die drei Zigeuner (The Three Gypsies), text by Nikolaus Lenau

Antonin Dvořák (1841-1904)

Zigeunermelodien (Gypsy Melodies), Op. 55 on texts by Adolf Heyduk

Mein Lied ertönt (My Song Sounds of Love)

Ei! Ei!, wie mein Triangle (Hah, How My Triangle Ringing)

Rings ist der Wald (The Forest Is Quiet All Around)

Als die alte Mutter (Songs My Mother Taught Me)

Reingetimmt die Saiten (The String Is Tuned)

In dem wieten, breiten, luft'gen (Wide Sleeves)

Darf des Falken Schwinge (Give a Hawk a Cage)

თომას ჰემპსონი / ბარიტონი
ელენა ბაშკიროვა / ფორტეპიანო

ანტონინ დვორჟაკი (1841-1904)

სიმღერები ციკლიდან “ბიბლიური სიმღერები”, თხზ. 99
Oblak a mrákota jest vůkol Něho (ღრუბელი და ნისლი გარემო არს
მისსა)

Skrýše má a Pavéza má ty jsi (შემნე და ხელისა ამპყრობელი ჩემი ხარი
შენ, მე სიტყუათა შენტა ვესავ)

Hospodin je můj pastýř (უფალმან მმწყსოს მე)

Při řekách babylonských (მდინარეთა ზედა ბაბილოვნისათა)

Pozdvihuji očí svých k horám (აღვიხილენ თუალნი ჩემნი მთათა)

Zpívetje Hospodinu píseň novou (უგალობდით უფალსა გალობითა
ახლითა)

ფერენც ლისტე (1811-1886)

სიმღერები ჰაინრიხ ჰაინეს ლექსებზე

Morgens steh ich auf und frage (ყოველ დილით ვდგები და კითხვას
ვსვამ)

Es muss ein Wunderbares sein (რაოდენ მშვენიერი უნდა იყოს)

Im Rhein im Heiligen Strome (რაინში, წმინდა მდინარეში)

Du bist wie eine Blume (ყვავილივით ხარ)

Anfangs wollt' ich fast verzagen (თავიდან თითქმის წარმეკვეთა სასო)

Vergiftet sind meine lieder (მონამლულია ჩემი სიმღერები)

ოთხი ბალადა

Die Loreley (ლორელაი), ჰაინრიხ ჰაინეს ლექსი

Ein Fichtenbaum steht einsam (ნაძვის ხე დგას მარტოსულად), ჰაინრიხ
ჰაინეს ლექსი

Die Vätergruft (მამის საძვალე), ლუდვიგ ულანდის ლექსი

Die drei Zigeuner (სამი ბოშა), ნიკოლაუს ლენაუს ლექსი

ანტონინ დვორჟაკი (1841-1904)

„ბოშათა მელოდიები“, თხზ. 55, ადოლფ ჰეიდუკის ლექსებზე

Mein Lied ertönt (ჩემი სიმღერა ჟღერს)

Ei! Ei!, wie mein Triangle (როგორ წკრიალებს ჩემი სამკუთხედი)

Rings ist der Wald (ირგვლივ ტყეა)

Als die alte Mutter (ოდეს ჩემი მოხუცი დედა)

Reingetimmt die Saiten (ანყობილია სიმები)

In dem wieten, breiten, luft'gen (ფართო სახელო)

Darf des Falken Schwinge (აჩუქე ქორს გალია)

ნტონინ დვორჟაკი

სიმღერები ციკლიდან “ბიბლიური სიმღერები”, თხზ. 99

1894 წლის მარტში, ამერიკაში ვიზიტის დასასრულს დვორჟაკმა გაიგო, რომ შორეულ ბოჰემიაში მისი 79 წლის მამა სიკვდილის პირას იყო.

იმავედროულად, მასზე მძიმედ იმოქმედა ჰანს ფონ ბიულოვის

გარდაცვალებამ. ფონ ბიულოვი გახლდათ მე-19 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე

ცნობილი დირიჟორი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა

დვორჟაკის მუსიკის გერმანულენოვან ქვეყნებში პოპულარიზებაში.

საპასუხოდ ღრმადმორწმუნე კათოლიკემ შექმნა ციკლი, რომელიც ათი

სიმღერისგან შედგება. "ბიბლიური სიმღერების" ტექსტისთვის დვორჟაკმა

გამოიყენა „ფსალმუნთა“ 1613 წლის ჩეხური პროტესტანტული თარგმანი.

"ბიბლიური სიმღერები" აღმოჩნდა ჩეხი კომპოზიტორის ბოლო სიმღერები.

ფერენც ლისტ

სიმღერები ჰაინრიხ ჰაინეს ლექსებზე ოთხი ბალადა

1827 წელს ჰაინრიხ ჰაინემ გამოაქვეყნა „სიმღერების წიგნი“, რომელიც

მოიცავდა იმ პერიოდისთვის შექმნილ მთელ მის პოეზიას. კრებულში

ძირითადად წარმოდგენილი იყო თვითირონიული და, იმავედროულად,

რომანტიკული ემოციებით გაჯერებული ლექსები უპასუხო სიყვარულზე.

კრებულის სათაური წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, რადგან მეცხრამეტე

საუკუნის კომპოზიტორთა დიდმა ნაწილმა ლექსები "სიმღერების წიგნიდან"

მართლაც სიმღერებად აქცია. 1840 წელს, მაგალითად, 14 კომპოზიტორმა

შექმნა 71 ნაწარმოები ჰაინეს ტექსტებზე დაყრდნობით (არასდროს, არც

ერთი პოეტის ლექსებზე არ დაწერილა ერთი წლის განმავლობაში ამდენი

ნაწარმოები). ოთხ წელიწადში უკვე 50-ზე მეტ კომპოზიტორს ჰქონდა

შექმნილი 159 ოპუსი. გიუნტერ მეტცნერს თავის ნაშრომში "ჰაინეს ლექსებზე

დაწერილი სიმღერების ბიბლიოგრაფია" ჩამოთვლილი აქვს 6,833 სიმღერა;

მათ შორისაა ფრანც შუბერტის, რობერტ და კლარა შუმანების, იოჰანეს

ბრამსის, ფელიქს მენდელსონის, რიხარდ ვაგნერის, პეტრე ჩაიკოვსკის,

ალექსანდრე ბოროდინის, ვენდელინ ვაისჰაიმერის, ალმა მალერ-ვერფელის,

ჩარლზ აივზის და ბოლოს, ფერენც ლისტის სიმღერები. პოეტი და

კომპოზიტორი ერთმანეთს 1831 წელს პარიზში შეხვდნენ. მათ რამდენიმე

წელი გაატარეს ერთმანეთის ქებაში, მაგრამ ურთიერთობა დასრულდა იმით,

რომ ჰაინემ საფუძვლიანად გააკრიტიკა ყოფილი მეგობარი. თუმცა ამან ხელი

არ შეუშალა ლისტს, მთელი ცხოვრების მანძილზე მიემართა ჰაინეს - უდავოდ

გამორჩეული გენიოსის შემოქმედებისადმი. რა თქმა უნდა, ჰაინე არ იყო

ერთადერთი პოეტი, რომელმაც ლისტს შთააგონა სიმღერების წერა. ლისტმა,

მუსიკალური რომანტიზმის უდიდესმა წარმომადგენელმა, სიმღერებად

ააჟღერა რომანტიკული პოეზიის ორი გერმანელი წარმომადგენლის - ლუდვიგ

ულანდისა და ნიკოლაუს ლენაუს ლექსებიც.

ანტონინ დვორჟაკი

„ბოშათა მელოდიები“, თხზ. 55, ადოლფ ჰეიდუკის ლექსებზე

ანტონინ დვორჟაკმაც სიმღერების შთამბეჭდავი რაოდენობა დაგვიტოვა.

ციკლისთვის „ბოშური მელოდიები“ შთაგონების წყაროდ იქცა ადოლფ

ჰეიდუკი - დვორჟაკის თანამედროვე ჩეხი პოეტი და მწერალი. ციკლი

კომპოზიტორს დაუკვეთა ვენის სამეფო ოპერის სოლისტმა, ტენორმა გუსტავ

ვალტერმა, რომელიც ხშირად ასრულებდა დვორჟაკის სიმღერებს თავის

კონცერტებზე. დვორჟაკმა აირჩია ჰეიდუკის შვიდი ლექსი, ავტორისეულ

გერმანულ თარგმანში. ეს კომპოზიტორისთვის მნიშვნელოვანი დეტალი იყო,

რადგან დეკლამაციის თვალსაზრისით გერმანული ვერსია ძალიან ახლოს

იყო ჩეხურ ორიგინალთან. ციკლი 1880 წელს გამოქვეყნდა ბერლინში

მცხოვრები გამომცემლის ზიმროკის მიერ, ჯერ გერმანული, შემდეგ კი ჩეხური

ტექსტებით. გუსტავ ვალტერმა ციკლის პირველი და მესამე სიმღერების

პრემიერა 1884 წლის 4 თებერვალს შეასრულა ვენაში. სამწუხაროდ, მთელი

ციკლის პირველი შესრულების თარიღი და ადგილი უცნობია. რომანტიკულ

ლიტერატურასა და მუსიკაში ბოშა განიხილებოდა როგორც ბურჟუაზიული

შეზღუდვებისგან განთავისუფლების სიმბოლო. ორივემ, ჰეიდუკმა და

დვორჟაკმა უმღერეს არა მხოლოდ ბოშათა თავისუფალ ცხოვრებას, არამედ

ჩეხი ხალხის მისწრაფებას ავსტრია-უნგრეთის იმპერიისგან

დამოუკიდებლობისაკენ.

ამ დროს საქართველოში...

ვოკალური რომანსი ქართული აკადემიური მუსიკისათვის მნიშვნელოვანი ჟანრია. დასავლეთ ევროპის ტრადიციებზე დაფუძნებული პროფესიული ქართული მუსიკა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისიდან განვითარდა. წამყვანი ჟანრები ამ დროს იყო ოპერა, საგუნდო და ვოკალური მუსიკა. პირველი თაობის პროფესიონალი კომპოზიტორების უმრავლესობამ შექმნა რომანსები ქართული ხალხური და ქალაქური მუსიკის, ასევე რუსული რომანსებისა და იტალიური ოპერების ზეგავლენით. რომანსის ჟანრი დღესაც პოპულარულია თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა შორის, რომლებიც მუდამ ცდილობენ ძველი ჟანრის ახალი ასპექტების აღმოჩენას.

Antonin Dvořák

From the cycle “Biblische Lieder”, Op. 99

In March 1894, towards the end of his first visit to the United States, Dvořák heard about his 79-year old father dying in distant Bohemia. At the same time, he was affected by the death of Hans von Bülow - one of the most famous conductors of the 19th century who played an important role in promoting Dvořák's music in German-speaking countries. As a response the devout Catholic composed a cycle consisting of ten songs. For the text of “Biblical Songs” Dvořák drew on the Czech Protestant translation of the Book of Psalms in the Kraliče Bible of 1613. “Biblical Songs” was to be the last songs he composed.

Franz Liszt

Songs on texts by Heinrich Heine Four Ballads

In 1827, Heinrich Heine published “Buch der Lieder” (The Book of Songs) containing all his poetry up to the time of publication. The collection featured mostly self-ironic poems about unrequited love employing Romantic emotions. The title of the collection turned out to be prophetic as a great number of nineteenth-century composers set verses from “The Book of Songs” to music. In 1840, 14 musicians composed 71 pieces based on works by Heine (never before and never since have more works by a single poet been set to music in one year) and within four years there was already a total of more than 159 works by 50 composers. Günter Metzner listed in his “Bibliography of the Heine Song Settings” a total of 6,833 Heine settings, including works by Franz Schubert, Robert and Clara Schumann, Johannes Brahms, Felix Mendelssohn, Richard Wagner, Pyotr Tchaikovsky, Alexander Borodin, Wendelin Weißheimer, Alma Mahler-Werfel, Charles Ives, and last but not least - Franz Liszt. Interestingly, poet and composer met in Paris in 1831, spent several years praising each other, but the relationship ended with Heine heavily criticizing his former friend. Though that did not hinder Liszt to engage with Heine's undeniable genius throughout his entire life. Of course Heine was not the only poet inspiring Liszt to compose songs. Poems by Ludwig Uhland and Nikolaus Lenau, two German poets representing along with Heine Romantic poetry, were also set to music by the great representative of Romantic music Franz Liszt.

Antonin Dvořák

Zigeunermelodien, Op. 55 on texts by Adolf Heyduk

Dvořák also composed an impressive number of songs. For his cycle Zigeunermelodien (Gypsy Melodies) the source of his inspiration was Adolf Heyduk - a distinguished contemporaneous Czech poet and writer. The cycle was commissioned by the leading tenor at Vienna's Hofoper Gustav Walter who frequently performed Dvořák's songs at his recitals. Dvořák chose seven selected poems by Heyduk using a German translation by Heyduk himself. It was a significant detail for the composer, as regarding declamation the German version kept very close to the Czech original. The cycle was published in 1880 by the Berlin-based publisher Simrock, first with German and later with Czech texts. Gustav Walter premiered the first and third songs on 4 February, 1884, in Vienna. The date and venue of the first performance of the entire cycle are unfortunately not known. In Romantic literature and music, the Gypsy was considered as a symbol of liberation from bourgeois constraints. Both, Heyduk and Dvořák evoked not only the unrestrained gypsy life, but also the Czech people's urge for independence from the Austro-Hungarian Empire.

Meanwhile in Georgia

Art song is a significant genre for Georgian art music. Professional Georgian music based on Western European traditions has been developing only from the beginning of the XX century. The leading genres were opera, choral and vocal music. The majority of the first generation of professional composers wrote romances inspired by Georgian folk music, urban music, Russian art songs and Italian operas. The art song is still popular among contemporary Georgian composers challenging them to discover new facets of the old genre.

